

ახალი ქართულენოვანი ტოპოგრაფიული რუკების მათემატიკური საფუძველი

გოჩა გუძუაძე

ელ-ფოსტა: gocha.gudzuaдзе049@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, თბილისი, 0179, საქართველო

გასული საუკუნის მიწურულს ტოპო-გეოდეზიურ საქმიანობაში თანამედროვე თანამგზავრული ტექნოლოგიების დანერგვისა და ახალი ქართულენოვანი ტოპოგრაფიული რუკების წარმოებისათვის აუცილებელი გახდა საერთაშორისო მათემატიკურ საფუძველზე გადასვლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 1999 წლის 30 აპრილს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N206 და საქართველოს ტერიტორიაზე ტოპო-გეოდეზიური სამუშაოების შესრულების, ტოპოგრაფიული რუკების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა დონეზე შექმნის და ერთიანი სახელმწიფო გეოინფორმაციული სისტემის გეოდეზიურ-კარტოგრაფიული საფუძვლის ფორმირებისათვის დადგინდა შემდეგი სტანდარტები:

1. საერთო-სახელმწიფოებრივი დანიშნულების გეოდეზიურ გაზომვათა შედეგების პროექტირების ზედაპირად დადგინდა საერთაშორისო ელიფსოიდი (WGS-84).
2. სახელმწიფო ტოპოგრაფიული რუკების მათემატიკურ საფუძვლად (კარტოგრაფიული პროექცია) დადგინდა მერკატორის უნივერსალური ტოლკუთხა განივცილინდრული პროექცია (UTM).
3. წერტილების ზღვის დონიდან აბსოლუტური სიმაღლეების ათვლის საწყის ნიშნულად დადგინდა კრონშტადტის (ქ. სანკტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია) ფუტშტოკის ნული (სიმაღლეთა ბალტიის ზღვის 1977 წლის სისტემა).
4. დადგინდა საქართველოს სახელმწიფო ტოპოგრაფიული რუკების შემდეგი მასშტაბური რიგი და რუკების ფურცლების ზომები

რუკების მასშტაბური რიგი	ტრაპეციის გვერდების ზომები	
	გრძედების სხვაობა	განედების სხვაობა
1:1 000 000	6° 00'	4° 00'
1:5 00 000	3° 00'	2° 00'
1:2 00 000	1° 12'	0° 48'
1:1 00 000	0° 40'	0° 24'
1: 50 000	0° 20'	0° 12'
1:25 000	0° 10'	0° 06'
1:10 000	0° 05'	0° 03'

წარმოდგენილ თემაში განხილულია ახალი მათემატიკური საფუძველი და მისი ძირითადი პარამეტრების შედარება ძველ მონაცემებთან.